ბრძანება:**ბ17. 01251356**

თარიღი:**15/05/2025**

განცხადების ნომერი: 01251181471-17
განცხადების თარიღი: 28/04/2025

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი
- საკადასტრო კოდი :01.17.11.027.073
- მისამართი :ქალაქი თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N150

განმცხადებელი-დამკვეთი :გიგა სანაია
პირადი ნომერი :01018003506
მისამართი :თბილისი იოველ ქუთათელაძის ქ. N 6 ბ. 14

ნომენკლატურა :სამართლებრივი საკითხები სანებართვო პირობების დარღვევით წარმოებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღების დროებითი წესის მიზნისთვის / ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

მოთხოვნის შინაარსი
- მოთხოვნის ტექსტი :მოგესალმებით, მოგახსენებთ, რომ მისამართი ქ. თბილისი ბერი გაბრიელ სალოსის 150 (ბ. ხმელნიცკი N 48) ს/კ 01.17.11.027.073 ქალაქ თბილისისი მინიციპალიტეტის მერია მუნიციპალური ინსპექცია ბრძანება: ბ17.01242274 მოხდა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ ავტოსადგომის ფართობი დაფიქსირებულია 814.9 კვ.მ ხოლო წარმოდგენილ ნახაზებში ავტოსადგომის ფათობი შეადგენს 662,3 კვ.მ გთხოვთ, გაგვისწოროთ ტექნიკურ ეკონომიკურ მაჩვენებელში, ავტოსადგომის ფართობი 662,3 კვ.მ პატივისცემით,

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2024 წლის 14 აგვისტოს Nბ17. 01242274 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას 2025 წლის 28 აპრილს N01251181471-17 განცხადებით მომართა მოქ. გიგა სანაიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2024 წლის 14 აგვისტოს Nბ17. 01242274 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

მუნიციპალურმა ინსპექციამ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ მუნიციპალური ინსპექციის 2024 წლის 14 აგვისტოს Nბ17. 01242274 ბრძანებით ექსპლუატაციაში იქნა მიღებული ქ. თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N150-ში (ს/კ N01.17.11.027.073) სანებართვო პირობების დარღვევით ნაწარმოები მშენებლობადამთავრებული ობიექტი (მრავალფუნქციური კომპლექსი (საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული)) , საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 141^3 მუხლის შესაბამისად.

წინამდებარე განცხადებით განმცხადებელი ითხოვს მუნიციპალური ინსპექციის 2024 წლის 14 აგვისტოს Nბ17. 01242274 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის შესწორებას და აღნიშნავს, რომ ექსპლუატაციაში მიღების წარმოების პროცესში არასწორად იქნა წარმოდგენილი ავტოსადგომის ფართის მაჩვენებელი. კერძოდ, ნაცვლად -1 სართულის გეგმაზე ნაჩვენები 662.3 კვ.მ.-სა ბრძანებაში მითითბულია 814.9 კვ.მ., რის გამოც ითხოვს Nბ17. 01242274 ბრძანებაში აღნიშნული ფართის და შესაბამისად, საერთო ფართის მაჩვენებლის შესწორებას

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები. შესაბამისად, მუნიციპალურმა ინსპექციამ მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2024 წლის 14 აგვისტოს Nბ17. 01242274

ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2024 წლის 14 აგვისტოს №17. 01242274 ბრძანებაში და ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებში საერთო ფართობად დაფიქსირდეს 5993.8 კვ.მ., ხოლო ავტოსადგომების ფართობად - 662.3 კვ.მ.

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური 2024 წლის 14 აგვისტოს №17. 01242274 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2024 წლის 14 აგვისტოს №17. 01242274 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გოგი ჩიქოვანი

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი